

შპს „გაა ჰოლდინგი“ (ს/ნ 205109611)

კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შ ი ნ ა ა რ ს ი

№	დოკუმენტის დასახელება	გვ
1	შპს „გაა ჰოლდინგის“ ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე	3
2	დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა შპს „გაა ჰოლდინგის“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის შედეგების შესახებ	4
3	შპს „გაა ჰოლდინგის“ 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პაკეტი	10-25
3.1	კონსოლიდირებული ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის	10
3.2	მოგების ან/და ზარალის და სხვა სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	11
3.3	კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	12
3.4	კონსოლიდირებული ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	13
3.5	განმარტებითი შენიშვნები შპს „გაა ჰოლდინგის“ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე	14
4	შპს „გაა ჰოლდინგის“ მმართველობის ანგარიშგება (2018 წლის საქმიანობის მიმოხილვა)	26

**შპს „გაა ჰოლდინგის“ და მისი შვილობილი კომპანიების ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასახავს შპს „გაა ჰოლდინგის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;

- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;

- ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;


- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2019 წლის 1 ივნისს.

შპს „ჰოლდინგის“
დირექტორი:



გია ალხანიშვილი/

2019 წ. 20 ივნისის
თბილისი, საქართველო

**შპს „გაა ჰოლდინგის“ და მისი შვილობილი კომპანიების ხელმძღვანელობის
პასუხისმგებლობის ანგარიში 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
წარმოდგენილი კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა ადასტურებს, რომ პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე. ვაცხადებთ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასახავს შპს „გაა ჰოლდინგის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;

- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;

- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;

- ფუნქციონირებადობის დაშვების პრინციპის საფუძველზე საქმიანობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;

- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;

- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ფასს სტანდარტების შესაბამისად;

- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;

- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები დამტკიცებულია 2019 წლის 1 ივნისს.

შპს „ჰოლდინგის“

დირექტორი:

/ გია ალხანიშვილი/

2019 წ. 20 ივნისის
თბილისი, საქართველო

შპს „გაა ჰოლდინგის“ ხელმძღვანელობას

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „გაა ჰოლდინგის“ (ს/ნ 205109611) და მისი შვილობილი კომპანიების 2018 წლის
31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტის
შედეგების შესახებ

შესავალი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „გაა ჰოლდინგის“ და მისი შვილობილი კომპანიების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტი, რომელიც მოიცავს: 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ფინანსური მდგომარეობის შესახებ; კონსოლიდირებულ ანგარიშგებას მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების შესახებ; კონსოლიდირებულ ანგარიშგებას საკუთარ კაპიტალში ცვლილების შესახებ; კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას. ასევე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგებას.

პირობითი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, შპს „გაა ჰოლდინგის“ წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს უზუსტობებს, რომელიც ცალ-ცალკე ან ერთად აღებული, არსებითია, მაგრამ არა ყოვლისმომცველი. პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი

საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია მსს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „გაა ჰოლდინგის“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ მდგომარეობას, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ამავე მუხლის მე-3, მე-6 და მე-10 პუნქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში, მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკისაგან განსხვავებით, ძირითად საშუალებად აღიარებულია ისეთი მცირეფასიანი ინვენტარი, რაც ხარჯებში უნდა ყოფილიყო ჩამოწერილი შესყიდვისთანავე, ვინაიდან აქტივებად აღიარების კრიტერიუმებს არ შეესაბამება;

კომპანია იყენებს საგადასახადო ამორტიზაციის ნორმებს და არ ეყრდნობა ცვეთის დაანგარიშებისას აქტივის სასარგებლო სამსახურის ვადას;

კომპანია ეკონომიკურ სარგებელს იღებს ისეთი ძირითადი საშუალებების გამოყენებიდან, რომელთა საბალანსო ღირებულება ამ ნორმის გამოყენების შედეგად სრულად ამორტიზირებულია;

კომპანია არ იყენებს ერთიან საგადასახადო ანგარიშს;

ხელმძღვანელობა ვალდებული იყო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განესაზღვრა, არსებობდა თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. ასეთის არსებობის შემთხვევაში, საწარმო ვალდებულია შეაფასოს აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, ერთხელ მაინც იმსჯელოს აქტივების რეალური ღირებულების, მისი გაუფასურების და გადაფასების აუცილებლობის შესახებ. ხელმძღვანელობას უნდა შეეფასებინა აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა მინიშნება გაუფასურებაზე. ასეთი შემოწმება შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს საანგარიშგებო წლის განმავლობაში იმ პირობით, რომ ეს მოხდება ყოველწლიურად. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის ხელმძღვანელობას არ უმსჯელია მის საკუთრებაში არსებული ძირითადი აქტივების რეალური ღირებულების, მისი გაუფასურებისა და ბალანსზე რეალური ღირებულებით აყვანის შესახებ.

აუდიტი დაიგეგმა და განხორციელდა მხარეთა შორის 2019 წლის 10 ივნისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შპს „გაა ჰოლდინგის“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართლების ანგარიშგების აუდიტს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა მიხედვით და შესაბამისი მოსაზრების წარმოდგენას. აუდიტი ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული აქტებით დაკისრებული ვალდებულებები აღწერილია „აუდიტორის პასუხისმგებლობის“ განმსაზღვრელ ნაწილში.

ჩვენ ვადასტურებთ, რომ ვართ დამოუკიდებელი დამკვეთისაგან, დავიცავთ კონფიდენციალობის ვალდებულებებს, არ გაგვაჩნია არანაირი დაინტერესება აუდიტის შედეგის მიმართ. ვმოქმედებდით, როგორც ამას მოითხოვს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს დოკუმენტი „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსი“.

მიგვაჩნია, რომ აუდიტის პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორის მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ და მმართველობის ანგარიშგებებზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე. ასევე, შიდა

კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს „გაა ჰოლდინგის“ და მისი შვილობილი კომპანიების ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებების აუდიტზე

აუდიტორი პასუხისმგებელია დაიცვას ეთიკის ნორმები, წარმართოს აუდიტორული პროცედურები იმგვარად, რომ მოიპოვოს დასაბუთებული რწმუნება, შეიცავს თუ არა ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები არსებით უზუსტობებს და აუდიტის შედეგების საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ანგარიშგებებზე.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი

განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ანგარიშგებების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას.

აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ანგარიშგებების წარდგენის შეფასებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

შპს „აუდიტი და კონტროლი“ გარიგების პარტნიორი:  გია ტუხაშვილი
ქ. თბილისი, დიღმის მასივი, მე-4 კვ. I ა კორპუსი, ბ. №5
26 სექტემბერი 2019 წელი

შპს „აუდიტი და კონტროლი“, ს/ნ 401952856, <http://auditcontroll.com/>; 01067 თბილისი, დიღმის
მასივი, მე-4 კვარტალი, I ა კორპუსი, ბ. №5, გარიგების პარტნიორი: გია ტუხაშვილი,
რეგისტრირებულია სახელმწიფო რეესტრში: № SARAS-A-469815; № SARAS-F-833498,
auditori.tukhashvili@gmail.com; ტელ.: 599 54 03 55

პროფესიული პასუხისმგებლობა დაზღვეულია 100.000 ლ.

შპს "გაა ჰოლდინგი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ-კონსოლიდირებული
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

აქტივები	2018	2017	2016
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,106,031	912,939	910,366
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2,022,207	1,952,987	1,785,993
სავაჭრო მოთხოვნები	4,961,694	3,955,004	5,015,163
სხვა მიმდინარე აქტივები	927,991	1,114,496	677,806
	12,017,923	7,935,426	8,389,328
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5,420,486	4,897,793	4,475,372
სხვა არამატერიალური აქტივები	25,892	27,723	30,945
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	582,294	504,377	462,177
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	205,244	205,186	187,956
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	6,233,916	5,635,079	5,156,450
სულ აქტივები	18,251,839	13,570,505	13,545,778
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,555,303	4,821,647	4,973,336
გადასახდელი დივიდენდი	0	-	14,960
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-37,290	-	99,134
გადასახდელი პროცენტები		8,119	2,100
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,518,013	4,829,766	5,089,530
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6,563,018	2,503,959	2,533,992
სხვა სესხები	5,314	444,554	499,201
გრძელვადიანი ვალდებულებები (გადასახდელი მეკავშირე საწარმოებისთვის)	371,346	324,226	444,276
გრძელვადიანი ანარიცხები	329,799	283,334	283,334
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7,269,477	3,556,073	3,760,803
სულ ვალდებულებები	11,787,490	8,385,839	8,850,333
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთრებელი საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,002,000	1,002,000
გაუნაწილებელი მოგება	4,902,960	2,861,627	3,185,136
საანგარიშგებო პერიოდის გაუნაწილებელი მოგება	834,323	681,331	(5,645.00)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები გადაფასების რეზერვ	87,976	87,976	87,976
	5,825,259	4,632,934	4,269,467
არამაკონტროლებელი წილი	639,090	551,732	425,978
სულ საკუთარი კაპიტალი	6,464,349	5,184,666	4,695,445
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18,251,839	13,570,505	13,545,778

შპს „გაა ჰოლდინგის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



გია ალხანიშვილი

მალხაზ სილაგაძე

შპს "გაა ჰოლდინგი"
ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ-კონსოლიდირებული
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ლარებში)

აქტივები	2018	2017	2016
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4,106,031	912,939	910,366
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	2,022,207	1,952,987	1,785,993
სავაჭრო მოთხოვნები	4,961,694	3,955,004	5,015,163
სხვა მიმდინარე აქტივები	927,991	1,114,496	677,806
	12,017,923	7,935,426	8,389,328
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5,420,486	4,897,793	4,475,372
სხვა არამატერიალური აქტივები	25,892	27,723	30,945
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	582,294	504,377	462,177
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	205,244	205,186	187,956
გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	6,233,916	5,635,079	5,156,450
სულ აქტივები	18,251,839	13,570,505	13,545,778
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,555,303	4,821,647	4,973,336
გადასახდელი დივიდენდი	0	-	14,960
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები	-37,290	-	99,134
გადასახდელი პროცენტები		8,119	2,100
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4,518,013	4,829,766	5,089,530
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	6,563,018	2,503,959	2,533,992
სხვა სესხები	5,314	444,554	499,201
გრძელვადიანი ვალდებულებები (გადასახდელი მეკავშირე საწარმოებისთვის)	371,346	324,226	444,276
გრძელვადიანი ანარიცხები	329,799	283,334	283,334
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	7,269,477	3,556,073	3,760,803
სულ ვალდებულებები	11,787,490	8,385,839	8,850,333
სათაფო საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნიებული საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი		1,002,000	1,002,000
გაუნაწილებელი მოგება	4,902,960	2,861,627	3,185,136
საანგარიშგებო პერიოდის გაუნაწილებელი მოგება	834,323	681,331	(5,645.00)
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები გადაფასების რეზერვ	87,976	87,976	87,976
	5,825,259	4,632,934	4,269,467
არამაკონტროლებელი წილი	639,090	551,732	425,978
სულ საკუთარი კაპიტალი	6,464,349	5,184,666	4,695,445
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18,251,839	13,570,505	13,545,778

შპს „გაა ჰოლდინგის“ დირექტორი

გია ალხანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

მალხაზ სილაგაძე

შპს "გაა ჰოლდინგი"
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება-კონსოლიდირებული
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	2018	2017
ამონაგები	2018	2017
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22,497,223	19,101,649
საერთო მოგება	(16,513,409)	(13,006,572)
სხვა შემოსავალი	5,983,814	6,095,077
კომერციული დანახარჯები	187,044	260,145
ადმინისტრაციული ხარჯები	(124,192)	(846,694)
სხვა ხარჯები	(3,730,379)	(3,702,455)
ფინანსური დანახარჯები	(350,259)	(487,492)
მოგება დაბეგვრამდე	(1,044,347)	(511,496)
მოგების გადასახადი	921,681	807,085
საანგარიშგებო წლის მოგება		
მოგება, მისაკუთვნიებული:	921,681	807,085
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე		
არამაკონტროლებელ წილებზე	834,323	681,331
	87,358	125,754
სულ სრული შემოსავალი, მისაკუთვნიებული:	921,681	807,085
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე		
არამაკონტროლებელ წილებზე	834,323	681,331
	87,358	125,754

შპს „გაა ჰოლდინგის“ დირექტორი

მთავარი ბუღალტერი



გია ალხანიშვილი

მალხაზ სილაგაძე

შპს "გაა ჰოლდინგი"
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება-კონსოლიდირებული
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	2018		2017
ამონაგები	2018		2017
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	22,497,223		19,101,649
საერთო მოგება	(16,513,409)		(13,006,572)
სხვა შემოსავალი	5,983,814		6,095,077
კომერციული დანახარჯები	187,044		260,145
ადმინისტრაციული ხარჯები	(124,192)		(846,694)
სხვა ხარჯები	(3,730,379)		(3,702,455)
ფინანსური დანახარჯები	(350,259)		(487,492)
მოგება დაბეგვრამდე	(1,044,347)		(511,496)
მოგების გადასახადი	921,681		807,085
საანგარიშგებო წლის მოგება			
მოგება, მისაკუთვნიებული:	921,681		807,085
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე			
არამაკონტროლებელ წილებზე	834,323		681,331
	87,358		125,754
სულ სრული შემოსავალი, მისაკუთვნიებული:	921,681		807,085
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე			
არამაკონტროლებელ წილებზე	834,323		681,331
	87,358		125,754

შპს „გაა ჰოლდინგის“ დირექტორი

გია ალხანიშვილი

მთავარი ბუღალტერი

მალხაზ სილაგაძე

შპს "გაა ჰოლდინგი"
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება- კონსოლიდირებული
საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
(ლარებში)

	2018	2017	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
კლიენტებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	22,388,828	22,910,398	
მომწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(18,816,352)	(20,322,438)	
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	3,572,476	2,587,960	
გადახდილი პროცენტები	(316,788)	(282,812)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(2,160,691)	(1,716,348)	
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,094,997		588,800
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი საწარმო X-ის კაპიტალის ზრდა	-		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(187,445.00)	(235,004)	
მანქანა-დანადგარების გაყიდვიდან მიღებული თანხები	21,028.00	45,610	
მიღებული პროცენტები	956.00	4,563	
მიღებული დივიდენდები			
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(165,461)		(184,831)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(497,773)	(46,200)	
შემოსულობანი საწესდებო შვილობილი საწარმო X-ის კაპიტალის შემცირების შედეგად	-		
შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან-პარტნიორისგან მიღებული და ბანკიდან	8,333,571	3,137,806	
პარტნიორებზე გაცემული სესხი			
გადახდები გრძელვადიანი სესხის დასაფარად	(5,214,043)	(3,030,401)	
გადახდილი დივიდენდები1(ა)	(323,355)	(352,341)	
საკუროსო ზარალი	(34,844)	(110,260)	
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2,263,556		(401,396)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	3,193,092		2,573
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	912,939		910,366
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	4,106,031		912,939

დირექტორი

გია ალიხანაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მალხაზ სილაგაძე



შპს "გაა ჰოლდინგი"
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ-კონსოლიდირებული
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
 (ლარებში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	სულ	არაკონტროლირებადი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წ. 1 იანვრისთვის	1,002,000	3,179,491	87,976	4,269,467	425,978	4,695,445
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა			-			-
გადაანგარიშებული ნაშთი	1,002,000	3,179,491	87,976	4,269,467	425,978	4,695,445
საკუთარი კაპიტალის ცვლილება 2017 წელს						
დივიდენდები		(317,864)		(317,864)		(317,864)
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		681,331		681,331	125,754	807,085
ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბრ.	1,002,000	3,542,958	87,976	4,632,934	551,732	5,184,666
საკუთარი კაპიტალის ცვლილება 2018 წელს						
საკუთარი კაპიტალი	(1,002,000)			(1,002,000)		(1,002,000)
დივიდენდები		(323,355)		(323,355)		(323,355)
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		834,323		834,323	87,358	921,681
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		1,683,357		1,683,357		1,683,357
ნაშთი 2018 წ. 31 დეკემბრ.	-	5,737,283	87,976	5,825,259	639,090	6,464,349

დირექტორი

გია ალიხანაშვილი

მთავარი ბუღალტერი

მალხაზ სილაგაძე

შპს "გაა ჰოლდინგი"
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ-კონსოლიდირებული
 საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს
 (ლარებში)

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების ნამეტი	სულ	არაკონტროლირებადი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2017 წ. 1 იანვრისთვის	1,002,000	3,179,491	87,976	4,269,467	425,978	4,695,445
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლა			–			-
გადაანგარიშებული ნაშთი	1,002,000	3,179,491	87,976	4,269,467	425,978	4,695,445
საკუთარი კაპიტალის ცვლილება 2017 წელს						
დივიდენდები		(317,864)		(317,864)		(317,864)
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		681,331		681,331	125,754	807,085
ნაშთი 2017 წ. 31 დეკემბრ.	1,002,000	3,542,958	87,976	4,632,934	551,732	5,184,666
საკუთარი კაპიტალის ცვლილება 2018 წელს						
საკუთარი კაპიტალი	(1,002,000)			(1,002,000)		(1,002,000)
დივიდენდები		(323,355)		(323,355)		(323,355)
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		834,323		834,323	87,358	921,681
გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში		1,683,357		1,683,357		1,683,357
ნაშთი 2018 წ. 31 დეკემბრ.	-	5,737,283	87,976	5,825,259	639,090	6,464,349

დირექტორი გია ალიხანაშვილი
 მთავარი ბუღალტერი მალხაზ სილაგაძე

განმარტებითი შენიშვნები შპს „გაა ჰოლდინგის“ 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებზე

1. ძირითადი საჭმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „გაა ჰოლდინგის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიების: შპს ჰავას მედია ჯორჯია, შპს არენა მედია ჯორჯია, შპს უნივერსალ მაკენ ჯორჯია, შპს ედიდესეს პრინტი, შპს სენა მოტორსი, შპს ქედი სტუდიო, შპს UM ჯორჯია, შპს McCann Erickson, შპს „სტარვიზია“- ფინანსურ ინფორმაციას. შპს „გაა ჰოლდინგი“ არის საქართველოში რეგისტრირებული კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც საქმიანობას ანხორციელებს მისამართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას N71, ბიზნეს ცენტრი ვაჟაზე. შპს „გაა ჰოლდინგი“ ფლობს წილებს კომპანიებში შემდეგი პროცენტულობით:

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შპს „ქედი გრუპი“ (რეგისტრირებული ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ 1996 წლის 30 აპრილს სარეგისტრაციო №1/4-313, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ასათიანის ქ. 12ა. საიდენტიფიკაციო #200000159) საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორის შპს „გაა ჰოლდინგის“ (რეგისტრირებული 07.12.2005 წელს, ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, რეგისტრაციის №1760-006, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას №16, XII სართული, საიდენტიფიკაციო კოდი: 205109611) მიერ.

შპს „გაა ჰოლდინგს“ წარმოადგენს ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი გაა ალიხანაშვილი (დაბადებული 1963 წლის 15 დეკემბერს ქ. თბილისში, პირადი №01018001791), საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი.

ორიათასთვრამეტი წლის 26 ივნისს შპს „მომენტუმ ჯორჯია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205237288, რეგისტრირებული : ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიე 2008 წლის 17 იანვარს) დამფუძნებელმა პარტნიორმა მაკა წიქორიძემ (პირადი №01030021218) დაუთმო მისი კუთვნილი წილი – 20% (ოცი პროცენტი) შპს „მომენტუმ ჯორჯია“-ის საწესდებო კაპიტალში მეორე დამფუძნებელ პარტნიორს შპს „გაა ჰოლდინგს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205109611), რომელიც წარმოადგენილია დირექტორისა და დამფუძნებლის გაა ალიხანაშვილის (პირადი ნომერი: 01018001791) სახით, ხოლო თავის მხრივ შპს „გაა ჰოლდინგმა“ მიიღო აღნიშნული წილი - 20 %, რის შემდეგაც შპს „გაა ჰოლდინგი“ გახდა შ.პ.ს. „მომენტუმ ჯორჯია“-ს საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი.

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შპს „McCann Erickson“-ის (რეგისტრირებული: 24.12.2010 წელს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას #71, IV სართული, საიდენტიფიკაციო კოდი: 404882766) ერთადერთი დამფუძნებლის შპს „გაა ჰოლდინგის“ (საიდენტიფიკაციო კოდი:205109611) მიერ, რომელსაც წარმოადგენს მისი ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი გაა ალიხანაშვილი (დაბადებული 15.12.1963 წ. ქ. თბილისში, პირადი №01018001791).

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, შპს “გაა ჰოლდინგი”-ს (საიდენტიფიკაციო კოდი:205109611) კუთვნილი კომპანიები შპს „სენა ავტო სერვისი” (საიდენტიფიკაციო კოდი: 205210396), და შპს „მომენტუმ ჯორჯია“

(საიდენტიფიკაციო კოდი: 205237288) შერწყას შპს „McCann Erickson“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404882766);

2. შპს „მომენტუმ ჯორჯიას“ და შპს „სენა ავტო სერვის“ საწესდებო კაპიტალში რიცხული თანხა და შპს „მომენტუმ ჯორჯიას“ და შპს „სენა ავტო სერვის“ ყველა აქტივი და პასივი გადაეცა შპს „McCann Erickson“-ს;

3. შერწყმის შედეგად შპს „McCann Erickson“-ი წარმოადგენს შპს „მომენტუმ ჯორჯიას“ და შპს „სენა ავტო სერვისის“ უფლებამონაცვლეს. შპს „მომენტუმ ჯორჯიას“ და შპს „სენა ავტო სერვისის“ ყველა არსებული უფლება-მოვალეობა კრედიტორებისა და დებიტორების წინაშე გადადის შპს „McCann Erickson“-ზე.

ორიათასთვრამეტი წლის 13 ივლისს შპს „დიჯი მანია ჯორჯია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404949687, რეგისტრირებული: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 27 ივნისს) დამფუძნებელმა პარტნიორმა ირმა ბოლქვაძემ (პირადი №01010015964) დაუთმო მისი კუთვნილი წილი – 100% (ასი პროცენტი) შპს „გაა ჰოლდინგს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205109611), რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორისა და დამფუძნებლის გია ალიხანაშვილის (პირადი ნომერი :01018001791) სახით, ხოლო თავის მხრივ შპს „გაა ჰოლდინგმა“ მიიღო აღნიშნული წილი - 100 %, რის და გახდა შპს „დიჯი მანია ჯორჯია“-ს საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი.

ორიათასთვრამეტი წლის 13 ივლისს შპს „ლინქ მედია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205021046, რეგისტრირებული: ვაკე-საბ. რ/ნის სასამართლოს მიერ 2004 წლის 05 თებერვალს) დამფუძნებელმა პარტნიორმა ირმა ბოლქვაძემ (პირადი №01010015964) დაუთმო მისი კუთვნილი წილი – 100% (ასი პროცენტი) შპს „გაა ჰოლდინგს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205109611), რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორისა და დამფუძნებლის გია ალიხანაშვილის (პირადი ნომერი : 01018001791) სახით, ხოლო თავის მხრივ შპს „გაა ჰოლდინგმა“ მიიღო აღნიშნული წილი – 100 %, რის შემდეგაც გახდა შპს „ლინქ მედია“-ს საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი.

შპს „ჰავას მედია ჯორჯია“-ს საწესდებო კაპიტალში 65%-ის მფლობელი დამფუძნებელი პარტნიორი შპს „გაა ჰოლდინგი“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205109611) თმობს მისი კუთვნილი სრული 65%-იან წილს ნაწილს: 15%-ს მეორე პარტნიორის დავით სულუაშვილის (პირადი ნომერი:01001004753) სასარგებლოდ.

ორიათასთვრამეტი წლის 12 ივლისს შპს „არენა მედია ჯორჯია“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987537, რეგისტრირებული: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2013 წლის 18 აპრილს) დამფუძნებელმა პარტნიორმა შალვა გორდეზიანმა (პირადი ნომერი: 01009010655) დაუთმო მისი კუთვნილი წილის – 20% (ოცი პროცენტის) ნაწილი: 10% შპს „გაა ჰოლდინგს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 205109611), რომელიც წარმოდგენილია მისი დირექტორისა და დამფუძნებლის გია ალიხანაშვილის (პირადი ნომერი: 01018001791) სახით და მეორე ნაწილი 10% დავით სულუაშვილს (პირადი ნომერი:01001004753), ხოლო თავის მხრივ შპს „გაა ჰოლდინგმა“ და დავით სულუაშვილმა მიიღეს აღნიშნული წილი, რის შემდეგაც შპს „არენა მედია ჯორჯია“-ს საწესდებო კაპიტალის 50%-ის მფლობელი გახდა შპს „გაა ჰოლდინგი“, ხოლო 50%-ის მფლობელი დავით სულუაშვილი.

2018 წლის 13 ივლისს გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შპს „სტარ გრუპ“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი: 204969338, რეგისტრირებული: ვაკე-საბ. რ/ნის სასამართლოს მიერ

2004 წლის 10 სექტემბერს) საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორის ირმა ბოლქვაძის (პირადი ნომერი: 01010015964) მიერ.

მოწვეული პირი: შპს „გაა ჰოლდინგი“-ს (რეგისტრირებული: ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2005 წლის 07 დეკემბერს №1760/006, საიდენტიფიკაციო კოდი: 205109611) ერთადერთი დამფუძნებელი პარტნიორი და დირექტორი გაა ალიხანაშვილი (პირადი #01018001791).

კომპანიის დასახელება	საკუთრება %	ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს ჰავას მედია ჯორჯია	(ს/ნ 205236314)	50%	29/12/2007	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს არენა მედია ჯორჯია	(ს/ნ 404987537)	50%	18/04/2013	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს უნივერსალ მაკენ ჯორჯია	(ს/ნ 205013518)	100%	29/08/2003	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს ეი დი ეს ეს პრინტი	(ს/ნ 205258709)	60%	7/7/2008	პოლიგრაფიული და ფართო ბეჭდვითი მომსახურება
შ.პ.ს სენა მოტორსი	(ს/ნ 205222926)	100%	21/09/2007	ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობა
შ.პ.ს ქედი სტუდიო	(ს/ნ 205243100)	100%	28/02/2008	პოლიგრაფიული და ფართო ბეჭდვითი მომსახურება
შპს UM GEORGIA	(ს/ნ 404882374)	100%	21/12/2010	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს McCann Erickson	(ს/ნ 404882766)	100%	27/06/2012	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს სენა ავტო	(ს/ნ 404949721)	100%	27/06/2012	ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობა
შპს სტარვიზია	(ს/ნ 245584611)	100%	16/02/2007	სატელევიზიო საქმიანობა
შპს ლინქ მედია	(ს/ნ 205021046)	100%	16/02/2007	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს დიჯიმანია ჯორჯია	(ს/ნ 404949687)	100%	16/02/2007	ვაჭრობა საცალო და საბითუმო
შპს სტარ გრუპი	(ს/ნ 204969338)	100%	28/02/2008	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს მომენტუმ ჯორჯია	(ს/ნ 205237288)	100%	17/01/2008	შეერწყა შპს McCann Erickson-ს 23/10/2018
შპს სენა ავტო სერვისი	(ს/ნ 205210396)	100%	15/06/2007	შეერწყა შპს McCann Erickson-ს 23/10/2018
შპს " ქედი გრუპი "	(ს/ნ 200000159)	100%	30/04/1996	შეერწყა შპს „გაა ჰოლდინგს“ 04/09/2018

შვილობილი კომპანიები სრულად კონსოლიდირებულია შეძენის /დაარსების დღიდან, რომელიც წარმოადგენს თარიღს, როდესაც კომპანია იღებს კონტროლს და აგრძელებს კონსოლიდირებულად ყოფნას იმ დღემდე, როდესაც ასეთი კონტროლი შეწყდება. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება იმავე საანგარიშო წლისთვის, რაც მშობელი კომპანიის, თანმიმდევრული სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. კომპანიის შიგნით არსებული ყველა ნაშთი, ოპერაცია, შემოსავალი და ხარჯები და მოგება და ზარალი, რომელიც წარმოადგენს კომპანიის შიგნით ოპერაციების შედეგს, სრულად ამოღებულია.

2. შვილობილი საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ

გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფაასს) შესაბამისად.

ეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ფუნქციონალურ და გამოსახვის ვალუტაში) დამრგვალებული უახლოეს ათასამდე (GEL 000), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2.2. მომზადების საშუალები (ბაბრქეშეა)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწაროს პრინციპის დაშვებით-ანუ იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში, შესაბამისად მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიულ ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე.

2.3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (ბაბრქეშეა)

შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები, ანუ ის ორგანიზაციები, რომლებშიც კომპანიას გააჩნია ინტერესი ნახევარზე მეტი ხმის უფლებით, ან კომპანიას სხვაგვარად აქვს უფლება განახორციელოს კონტროლი მათ საქმიანობაზე, კონსოლიდირებულები არიან. შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად ითვლებიან იმ დღიდან, რომლიდანაც კონტროლი გადადის ჯგუფზე, ხოლო ისინი აღარ ითვლებიან ასეთად იმ დღიდან, როდესაც აღნიშნული კონტროლი წყდება. ჯგუფის შიდა ყველა გარიგება, ასევე ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციების შედეგად არსებული ნაშთები და არარეალიზებული მოგება სრულად არის ამოღებული; არარეალიზებული ზარალიც ასევე ამოღებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტრანზაქცია უზრუნველყოფს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

იქ, სადაც აუცილებლობა მოითხოვს, შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა შეცვლილი იქნა ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

წილი/შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს ჯგუფი წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების ტარილისთვის წარმოადგენს უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილს შვილობილ კომპანიებში. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

კონსოლიდაციასთან დაკავშირებით ელიმინირებული ტრანსაქციები

შიდა ჯგუფური ბალანსები და ტრანზაქციები, ნებისმიერი არარეალიზებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება შიდა ჯგუფური ტრანსაქციიდან ელიმინირებულია (გაქვითულია).

2.4. უცხოური ვალუტა (გაბრძნობა)

ტრანსაქციები უცხოურ ვალუტაში საანგარიშგებო ვალუტაში (ლარი) კონვერტირებულია ტრანსაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია კონოსლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

2.5. მარაგები (გაბრძნობა)

საინვენტარო მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. საინვენტარო მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს მარაგების შემენაზე, ადგილზე მიტანაზე და არსებულ მდგომარეობამდე მიყვანაზე გაწეულ ხარჯებს. მზა საქონლისა და დაუმთავრებელი სამუშაოს თვითღირებულება მოიცავს ზედნადები ხარჯების შესაბამის წილს ნორმალური საოპერაციო მოცულობის საფუძველზე, მაგრამ სესხების ხარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გაყიდვის სავარაუდო ფასი ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის პირობებში, სამუშაოების დასრულების ხარჯებისა და გაყიდვისთვის აუცილებელი სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის გამოკლებით. მოძველებული ან ნელი მოძრაობის მარაგების უზრუნველყოფა არ ხდება.

2.6. ძირითადი საშუალებები (გაბრძნობა)

ძირითადი საშუალებების და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივების გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადებული პროპორციულად უნდა გადაიხედოს.

ძირითადი საშუალებები, მათ შორის, მფლობელის მიერ დაკავებული ქონება, ფასდება თვითღირებულებით, ყოველდღიური მომსახურების ღირებულების გარდა, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გამოცვლის ან ძირითადი შემოწმების ხარჯების კაპიტალიზაცია ხდება ამ ხარჯების გაწევისას და, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი ამ პუნქტთან დაკავშირებით მიემართება ორგანიზაციაში და შესაძლებელია პუნქტის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ამორტიზაცია გათვალისწინებულია კლებადი ნაშთის მეთოდის საფუძველზე შემდეგი კლასების აქტივების სასარგებლო გამოყენების პერიოდისთვის:

- ❖ შენობები: 20 წელი
- ❖ სატრანსპორტო საშუალებები: 5 წელი.
- ❖ ავეჯი და ინვენტარი: 5–დან 10 წლამდე.
- ❖ საიჯარო ქონების გაუმჯობესება: 5 წელი.

ამ აქტივების ნარჩენი ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და ამორტიზაციის მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლისთვის და, საჭიროების შემთხვევაში, ხდება პერსპექტიული შესწორება.

გაუფასურების განხილვა სრულდება, როდესაც არსებობს მაჩვენებლები, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ აღდგეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგების კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, ხარჯის სახით.

ძირითადი საშუალებების პუნქტის აღიარების შეწყვეტა ხდება განკარგვის შემდეგ ან როდესაც არაა მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებისა ან განკარგვიდან. ნებისმიერი მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას (გამოითვლება როგორც სხვაობა განკარგვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შედის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აქტივის აღიარების შეწყვეტის წელს.

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ამორტიზაცია ხდება იჯარით აღებული შესაბამისი აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი

ღირებულებების, სასარგებლო გამოყენების ვადების და მეთოდების განხილვა და, საჭიროების შემთხვევაში, სათანადო შესწორება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

2.7. არამატერიალური აქტივები (გაბრძნობა)

ჯგუფის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

2.8. ფინანსური ინსტრუმენტები (გაბრძნობა)

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებები ვადა გასდის; ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკები გადადის სხვა მხარეზე.

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ❖ სესხები და სხვა მოთხოვნები
- ❖ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ჯგუფი ყველა ფინანსურ აქტივს და ვალდებულებას აღიარებს ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. ყველა შემოსავალი და ხარჯი დაკავსირებული ფინანსურ აქტივებთან აღიარებულია

ფინანსური საქმიანობის ანგარიშგებაში შესაბამის ფუნქტად - „ფინანსური ხარჯი“ ან „ფინანსური შემოსავალი“.

სესხები და სხვა მოთხოვნები

სესხები და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე, აღნიშნული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, ფულს და ფულის ექვივალენტებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით. შემდგომში ისინი წარდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტრუტი მოსაზრება, რომ ჯგუფი ვერ მოახერხებს მოთხოვნების მირებას საწყისი პირობების მიხედვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ჯგუფის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშზე, ფულს ხელზე და ფულს გზაში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, ბონდებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოსვებასთან დაკავშირებული ტრანსაქციებით შემცირებული რეალური ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები მიეკუთვნება და პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის შექმნასთან, შეძენასთან ან წარმოებასთან. ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებებით, ხოლო შემდგომში ისინი წარედგინება ამორტიზირებული ღირებულებით.

2.9. კაპიტალი (ბაზრძელება)

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფოლბელებში და ა.შ.) ხორცილედება კომპანიის პარტნიორის მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

ყველა ტრანსაქცია რომელიც დაკავშირებულია მშობელ კომპანიასთან, როდესაც ისინი გვევლინებიან მშობელი კომპანიის რანგში, აღირიცხება კაპიტალის ცალკე მუხლში.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულებები იმ პეიორდისათვის, რომელშიც ის გამოცხადდა.

2.10. მოგების გადასახადი (ბაბრძელება)

მოგების გადასახადი არის ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გადაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულებების ყველა შესაძლო შესწორებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთით განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების გადასახადის განაწილება და დარცხა კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად თუ განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება ან/და ისეთი ტრანსაქციები არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან. ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებს და ვალდებულებებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.11. შემოსავლის აღიარება (ბაბრძელება)

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალში არ ჩაირთვება ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავალი აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ❖ საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

- ❖ საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

- ❖ გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

❖ მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და

❖ შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწევის შედეგების საიმედოდ განსაზღვრა და მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით. მომსახურების მიწოდების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

❖ შემოსავლი თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;

❖ მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

❖ შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;

❖ შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ფართის რემონტი	სულ
2017 წლის 1 იანვარი	957,206	2,660,643	382,554	437,241	570,035	727,169	8,596	5,743,444
შემოსვლა	84,770	278,028	294,990	45,180	15,085	177,605	15,035	910,693
გასვლა	-	-	(67,961)	(6,411)	(1,863)	(58,976)	-	(135,211)
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	1,041,976	2,587,677	609,583	478,325	257,811	845,798	23,632	6,518,925
შემოსვლა	347,859	459,203	111,418	61,194	22,038	13,270	169	1,015,151
გასვლა	-	-	(111,154)	(41,882)	(15,981)	(53,927)	-	(222,944)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,389,835	3,046,880	609,847	497,637	263,867	805,141	23,801	7,311,132
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 1 იანვარი	-	617,792	217,377	246,153	109,450	102,451	4,221	1,297,443
წლის ცვეთა	-	79,785	78,952	39,171	22,240	139,416	2,275	361,840
გასული აქტივის ცვეთა	-	-	(25,437)	(43)	(106)	(12,566)	-	(38,151)
გადაფასების შედეგად ცვეთის ელიმინირება	-	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	-	697,577	270,892	285,281	131,584	229,301	6,496	1,621,133
წლის ცვეთა	-	86,695	73,003	39,293	23,400	112,339	3,173	337,903
კლების შედეგად კორექტირება	-	-	(13,845)	(27,974)	(13,323)	(524)	-	(55,666)
2018 წლის 31 დეკემბერი	-	784,272	330,050	296,600	141,661	341,116	9,669	1,903,369
საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბერი	1,041,976	1,890,100	338,690	193,044	126,226	616,497	17,136	4,897,793
2018 წლის 31 დეკემბერი	1,389,835	2,262,608	279,797	201,037	122,206	464,024	14,132	5,407,763

4. მარაგები

		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შეძენილი მარაგები		1,852,984.08	1,862,786.00
ნედლეული		75,602.81	75,641.00
მასალა		87,769.68	14,474.00
დაუმთავრებელი წარმოება		5,850.43	-
სხვა		-	86.00
		2,022,207.00	1,952,987.00

მარაგები არ არის დატვირთული იპოთეკით. ყველა სასაქონლო მატერიალური მარაგი შეფასებულია თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი ღირებულებით.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყველა თანხა არის მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მიჩნეულია დაახლოებით სამართლიან ღირებულებად.

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

ჯგუფს არ მიაჩნია მოთხოვნებზე რეზერვების შექმნის საჭიროება, რადგან ისტორიულად არ დამდგარა დებიტორების გაუფასურების შედეგი.

6. ფული და ფულის ექვივალენტები

		2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში		6,795	23,238
ფული ბანკში		4,099,069	889,701
		4,105,863	912,939

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისთვის, ფული და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს საბანკო ანგარიშებზე. ნაღდი ფული და ბანკის ბალანსი წლის ბოლოს კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში უნდა კონსოლიდირდეს შესაბამისად.

7. სმსხმპი

სესხები	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბანკი	6,389,039	-
სხვა სესხები	179,293	-
	6,568,332	2,948,514

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დაფარვის ვადა დაახლოებით 30-90 დღიანია. არ ერიცხება პროცენტი.

9. მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

დაშვებები და მსჯელობები არის მუდმივად შევასებადი და დაფუძნებული ისტორიულ გამოცდილებაზე, ამასთან გასათვალისწინებელია სხვა ფაქტორებიც, როგორც არის მომავალი მოვლენები და სარქმუნოა რომ მიესადაგება აღნიშნულ გარემოებებს.

ჯგუფი შეფასებებს აკეთებს მომავალი ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული ბუღალტრული შედეგი შესაძლოა არ დაემთხვეს რეალურ შედეგს.

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლი და ვადები

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობა და დარწმუნებულია, რომ შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური სასიცოცხლო ხანგრძლივობისაგან.

მარაგების გაუფასურების რეზერვი

ინვენტარის გაუფასურების რეზერვი იქნება ძნელად გაყიდვადი, მოძველებული და ინვენტარის დანაკლისი არსებობის შემთხვევაში. ინვენტარის გაუფასურების რეზერვის სბალანსო ღირებულების განსაზღვრა ეყრდნობა დაშვებებს მოთხოვნასა, ინვენტარის ბრუნვისა, ინვენტარის დაზიანებასა და მოპოვებაზე.

ჯგუფში საანგარიშგებო წლის დასრულების წერიოდისათვის არ ჩატარებულა მარაგების ინვენტარიზაცია.

მიწა და შენობები

ჯგუფის მიწის ნაკვეთების და შენობების წარდგენილია საბალანსო ღირებულებით და არ მომხდარა მისი გადაფასება. მიუხედავად ამისა ჯგუფის მენეჯმენტი დარწმუნებულია, გადაფასების შემთხვევაში გადაფასებული ღირებულება და საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მოგვემდა.

უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფს ზოგიერთი ტრანსაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე აქვს საკუროსო სხვაობის რისკი.

ჯგუფის ტრანსაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკუროსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკული დოლარში და ევროში. ჯგუფს ასევე აქვს სესხები უცხოურ ვალუტაში. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

10. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი პარტნიორი, საერთო კონტორლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

შპს გაა ჰოლდინგის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

გ. ალხანიშვილი

მ. სილაგაძე



უცხოური ვალუტის რისკი

ჯგუფს ზოგიერთი ტრანსაქცია აქვს უცხოურ ვალუტაში, აქედან გამომდინარე აქვს საკურსო სხვაობის რისკი.

ჯგუფის ტრანსაქციების უმეტესობა არის ეროვნულ ვალუტაში. საკურსო სხვაობები აქვს უცხოელ მომწოდებლებთან ვაჭრობის გამო, რაც ძირითადად არის ამერიკული დოლარში და ევროში. ჯგუფს ასევე აქვს სესხები უცხოურ ვალუტაში. თანხები გადაყვანილია ლარებში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით.

10. დაკავშირებული მხარეები

ჯგუფის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი პარტნიორი, საერთო კონტორლის ქვეშ მყოფი კომპანიები და ძირითადი ხელმძღვანელობა.

შპს გაა ჰოლდინგის დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

გ. ალხანიშვილი

მ. სილაგაძე

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„გაა ჰოლდინგი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წ.
(საქმიანობის მიმოხილვა)

მომზადებულია ფირმის მენეჯმენტის მიერ

2019

შინაარსი

შესავალი -----	27
საქმიანობის მიმოხილვა:	
ზოგადი ინფორმაცია შპს „გაა ჰოლდინგის“ შესახებ -----	27
საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა -----	32
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები -----	33
ანალიტიკური მაჩვენებლები -----	33
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები -----	35

შესავალი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნიდან გამომდინარე, შპს „გაა ჰოლდინგი“ (კომპანია), როგორც მეორე ზომითი კატეგორიის სუბიექტი, ვალდებულია შეადგინოს და წარადგინოს მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვა.

დანიშნულებიდან გამომდინარე, დოკუმენტი ასახავს კომპანიის საქმიანობის შინაარსს, მოიცავს მიღწეულ შედეგებს, ფაქტობრივ მაჩვენებლებსა და განვითარების პერსპექტივას.

ანგარიშგების მიზანია წარმოვადგინოთ კომპანიის საქმიანობის სპექტრი და ჩვენი განზრახვა გავზარდოთ არსებული ბიზნესი, მომსახურების ხარისხი და ეფექტურობა.

კომპანია მოწადინებულია გააგრძელოს საქმიანობა და განახორციელოს ღიაობის პრინციპი კანონმდებლობით განსაზღვრული ფორმითა და მოცულობით.

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია

საფირმო სახელწოდება: გაა ჰოლდინგი;

სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;

საიდენტიფიკაციო ნომერი: 205109611;

კომპანია სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია 2005 წლის 07 დეკემბერს (რეგისტრაციის № 1760/006-შპს). მისი დამფუძნებელი და 100 %-იანი წილის მფლობელი, დაფუძნების დღიდან უცვლელი დირექტორია გია ალიხანაშვილი (პ/ნ 01018001791).

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა-ფშაველას გამზირი, N 71, მე-2 სართული, ოფისი N 2

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

დირექტორი - 01018001791, გია ალიხანაშვილი (კომპანიის დაფუძნებიდან დღემდე).

პარტნიორები

მესაკუთრე

წილი

ფ/პ გია ალიხანაშვილი პ/ნ 01018001791

100%

ცვლილებები:

შპს „გაა ჰოლდინგის“ ჯგუფის ზოგიერთ საწარმოში შეიცვალა მესაკუთრეთა წილობრივი უფლებები, განხორციელდა აგრეთვე საწარმოთა შერწყმა, შეიცვალა ხელმძღვანელობაც. კერძოდ:

1. შპს „ჰავას მედია ჯორჯია“, ს/ნ 205236314 (2017 წლის დასაწყისისთვის 35% წილის მფლობელი იყო დავით სულუაშვილი (პ/ნ 01001004753), 65% - შპს „გაა ჰოლდინგი“ (ს/ნ 205109611); 2018 წლის 12 ივლისს შპს „გაა ჰოლდინგმა“ 15% წილი დათმო მეორე პარტნიორის მიმართ 37000 ლარად და დარეგისტრირდა: 50% - დავით სულუაშვილი, 50% - შპს „გაა ჰოლდინგი“. დირექტორები: ზაზა აკობია (პ/ნ 01009010755) 2018 წლის ივლისამდე, შემდგომი პერიოდიდან დავით სულუაშვილი (პ/ნ 01001004753);

2. შპს „არენა მედია ჯორჯია“ ს/ნ 404987537 (2017 წლის დასაწყისისათვის 20% - შალვა გორდეზიანი (პ/ნ 01009010655), 40 % - დავით სულუაშვილი, 40% - შპს „გაა ჰოლდინგი“; 2018 წლის 12 ივლისს შალვა გორდეზიანმა დათმო 20% 40700 ლარად და 10%-10% შეიძინეს დანარჩენმა პარტნიორებმა. დარეგისტრირდა 50% - დავით სულუაშვილი, 50% - შპს „გაა ჰოლდინგი“. დირექტორია დავით სულუაშვილი (პ/ნ 01001004753).

2018 წლის 24 ოქტომბერს შეეცვალა იურიდიული მისამართი. დაფიქსირდა: ქ.თბილისი, ასათიანის ქუჩა №12 ა/ ქ.თბილისი, ზაქაიაძის ქუჩა №3;

3. შპს „McCann Erickson“ ს/ნ 404882766, (100 % - შპს „გაა ჰოლდინგი“); 2018 წლის 16 ოქტომბრის პარტნიორის გადაწყვეტილებით შპს „McCann Erickson“-ს შეერწყა შპს „მომენტუმ ჯორჯია“ (ს/ნ 205237288) და შპს „სენა ავტო სერვისი“ (ს/ნ 205210396). შერწყმის შედეგად სახელწოდება დარჩა შპს „McCann Erickson“. შერწყმის შემდგომ დირექტორია გია ალიხანაშვილი (პ/ნ 01018001791);

4. შპს „მომენტუმ ჯორჯია“ ს/ნ 205237288, (2017 წლის დასაწყისისათვის 20% - მაკა წიქორიძე (პ/ნ 01030021218), 80% - შპს „გაა ჰოლდინგი“ (ს/ნ 205109611); 2018 წლის 26 ივნისის მაკა წიქორიძემ ორმოც ლარად დათმო 20% და 100%-ის მფლობელი გახდა შპს „გაა ჰოლდინგი“ (ს/ნ 205109611). შემდგომ შპს „მომენტუმ ჯორჯია“ (ს/ნ 205237288) და შპს „სენა ავტო სერვისი“ (ს/ნ 205210396) შეერწყა შპს „McCann Erickson“-ს;

5. შპს „ედიესესპრინტი“ ს/ნ 205258709, (60% - შპს „გაა ჰოლდინგი“, 20% - თამარ სპარსიაშვილი (პ/ნ 01017016320), 20% - დავით მურაკაშვილი (პ/ნ 01019004372). დირექტორები: ირმა ბოლქვაძე (პ/ნ 01010015964) 2018 წლის 14 ივნისამდე, შემდგომ გია ალიხანაშვილი.

6. შპს „ქედი სტუდო“, ს/ნ 205243100 (100% - შპს „გაა ჰოლდინგი“ (ს/ნ 205109611). დირექტორები კობა ბასილაია (პ/ნ 62001015278) 2018 წლის 14 ივნისამდე, შემდგომ გია ალიხანაშვილი.

2019 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებით შპს „ქედი სტუდო“-სთან გაერთიანდა შპს „ლინქ მედია“ (ს/ნ 205021046), შპს „სტარ გრუპ“ (ს/ნ 204969338) და შპს „დიჯიმანია ჯორჯია“ (ს/ნ 404949687). აღნიშნული სამი შპს-დან შპს „ლინქ მედია“ (ს/ნ 205021046) შპს „გაა ჰოლდინგი“-მ შეიძინა 5175 ლარად, შპს „სტარ გრუპ“ (ს/ნ 204969338) – 100 ლარად და შპს „დიჯიმანია ჯორჯია“ (ს/ნ 404949687) – 200 ლარად ირმა ბოლქვაძისგან 2018 წლის აგვისტოში;

თავის მხრივ შპს „სტარ გრუპ“-ში 2018 წლის აგვისტოში შერწყმული იყო შპს „ეი დი ეს შოპ ენდ ვეარ ჰაუსე“ (ს/ნ 205223033), შპს „ედ სისტემს სტუდო ინტერნეიშენალი“ (ს/ნ 205076941), შპს „ქედი პრინტი“ (ს/ნ 205008551);

7. შპს „ქედი გრუპ“ ს/ნ 200000159 (100 % - შპს „გაა ჰოლდინგი“ (ს/ნ 205109611). დღეისათვის ცალკე სუბიექტად აღარ ფიქსირდება. საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, 04.09.2018-ში შეერწყა შპს „გაა ჰოლდინგი“-ს. დირექტორები: 2018 წლის 14 ივნისამდე - ირმა ბოლქვაძე (01010015964), შემდგომი პერიოდიდან შპს „გაა ჰოლდინგი“-სთან შერწყმამდე - გია ალიხანაშვილი (პ/ნ 01018001791).

8. შპს „სტარვიზია“, ს/ნ 245584611 (2017 წლის 01 იანვრისათვის 100% - შპს „გაა ჰოლდინგი“ (ს/ნ 205109611). დირექტორები კობა ბასილაია (პ/ნ 62001015278), 2018 წლის 14 ივნისამდე, შემდგომ გია ალიხანაშვილი.

9. შპს „სენა ავტო სერვისი“, ს.ნ. 205210396 (2017 წლის 01 იანვრისათვის 100% - შპს „გაა ჰოლდინგი“. დირექტორები თინათინ გამგებელი (პ/ნ 01019003244) 2018 წლის 01 აგვისტომდე, შემდეგი პერიოდიდან გია ალიხანაშვილი. შემდგომ შპს „სენა ავტო სერვისი“, შეერწყა შპს „McCann Erickson“-ს.

10. შპს „სენა ავტო“, ს/ნ 404949721, დირექტორი გია ალიხანაშვილი, 2019 წლის იანვარში შეეცვალა იურიდიული მისამართი.

11. შპს „სენა მოტორსი“, ს/ნ 205222926. 2019 წლის იანვარში შეიცვალა დირექტორი (გათავისუფლდა გულნაზი კაპანაძე და დაინიშნა გია ალიხანაშვილი) და შეეცვალა ელ.ფოსტის მისამართი.

ჯგუფში შემავალ სხვა საწარმოების სარეგისტრაციო მონაცემებში ცვლილებები არ მომხდარა

ინფორმაცია ფილიალების, წარმომადგენლობების

კომპანიას ფილიალები და წარმომადგენლობები არ აქვს.

შვილობილი კომპანიების შესახებ

2005 წლიდან სხვადასხვა დროს შპს „გაა ჰოლდინგს“ დაფუძნებული აქვს შვილობილი საწარმოები, რომლებშიც აქვს ინტერესი ნახევარზე მეტი ხმის უფლებით, ან სხვაგვარად აქვს უფლება განახორციელოს კონტროლი მათ საქმიანობაზე.

შპს „გაა ჰოლდინგის“ შვილობილ კომპანიებს მიეკუთვნება:

კომპანიის დასახელება	საკუთრება %	ქვეყანა	რეგისტრაციის თარიღი	საქმიანობის სფერო
შპს ჰავას მედია ჯორჯია	(ს/ნ 205236314)	50%	29/12/2007	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს არენა მედია ჯორჯია	(ს/ნ 404987537)	50%	18/04/2013	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს უნივერსალ მაკენ ჯორჯია	(ს/ნ 205013518)	100%	29/08/2003	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს ეი დი ეს ეს პრინტი	(ს/ნ 205258709)	60%	7/7/2008	პოლიგრაფიული და ფართო ბეჭდვითი მომსახურება
შ.პს სენა მოტორსი	(ს/ნ 205222926)	100%	21/09/2007	ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობა
შ.პ.ს ქედი სტუდოი	(ს/ნ 205243100)	100%	28/02/2008	პოლიგრაფიული და ფართო ბეჭდვითი მომსახურება
შპს UM GEORGIA	(ს/ნ 404882374)	100%	21/12/2010	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს McCann Erickson	(ს/ნ 404882766)	100%	27/06/2012	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს სენა ავტო	(ს/ნ 404949721)	100%	27/06/2012	ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ვაჭრობა
შპს სტარგიზია	(ს/ნ 245584611)	100%	16/02/2007	სატელევიზიო საქმიანობა
შპს ლინქ მედია	(ს/ნ 205021046)	100%	16/02/2007	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს დიჯიტალა ჯორჯია	(ს/ნ 404949687)	100%	16/02/2007	ვაჭრობა საცალო და საბითუმო
შპს სტარ გრუპი	(ს/ნ 204969338)	100%	28/02/2008	სარეკლამო სააგენტოს საქმიანობა
შპს მომენტუმ ჯორჯია	(ს/ნ 205237288)	100%	17/01/2008	შეერწა შპს McCann Erickson-ს 23/10/2018
შპს სენა ავტო სერვისი	(ს/ნ 205210396)	100%	15/06/2007	შეერწა შპს McCann Erickson-ს 23/10/2018
შპს " ქედი გრუპი "	(ს/ნ 200000159)	100%	30/04/1996	შეერწა შპს „გაა ჰოლდინგს“ 04/09/2018

წილი/შვილობილ კომპანიებში, რომელსაც არ ფლობს შპს „გაა ჰოლდინგი“ წარმოადგენს უმცირესობის წილს. უმცირესობის წილი ანგარიშგების თარიღისთვის უმცირესობაში მყოფ აქციონერთა წილია შვილობილ კომპანიებში. უმცირესობის წილი წარმოდგენილია კაპიტალში.

შპს „გაა ჰოლდინგის“ შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ ჯგუფს და კონსოლიდაციას ექვემდებარებიან.

შვილობილი კომპანიები კონსოლიდირებულად ითვლებიან იმ დღიდან, რომლიდანაც კონტროლი გადადის ჯგუფზე, ხოლო ისინი აღარ ითვლებიან ასეთად იმ დღიდან, როდესაც აღნიშნული კონტროლი წყდება. ჯგუფის შიდა ყველა გარიგება, ასევე ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციების შედეგად არსებული ნაშთები და არარეალიზებული მოგება სრულად არის ამოღებული; არარეალიზებული ზარალიც ასევე ამოღებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტრანზაქცია უზრუნველყოფს გადაცემული აქტივის გაუფასურების მტკიცებულებას.

კომპანიის მართვა ხორციელდება ვერტიკალური და ჰორიზონტალური პრინციპით. ვერტიკალურ მმართველობას ახორციელებს შპს „გაა ჰოლდინგის“ დირექტორი. ადგილებზე ხელმძღვანელობას ახდენენ შვილობილი კომპანიის დირექტორები.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

- საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს შრომის კოდექსი;
- კომპანიის წესდება.
- ბიზნესის მარეგულირებელი სხვა აქტები.

საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა

ჰოლდინგის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა: ფართების, სატრანსპორტო საშუალებების იჯარით გაცემა, გაქირავება, სარეკლამო საქმიანობა, სატელეკომპანიო მაუწყებლობა, ფართოპროფილიანი ბეჭდვა და პოლიგრაფიული მომსახურება, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ყიდვა გაყიდვა, სატრანსპორტო საშუალებების სერვისის მომსახურება, ტაქსოპარკით მომსახურება. გაცხადებული კაპიტალია 1 002 000 ლარი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ამ მიმართულებით საანგარიშგებო პერიოდში რაიმე სერიოზული კვლევა არ ჩატარებულა.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობის ბოლო სამი წლის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში:

მაჩვენებლები	31.12.2016	31.12.17	% 2017 წ. 2016 წ-სთან შედარებით	31.12.18	% 2018 წ. 2017 წ-სთან შედარებით	% 2018 წ. 2016 წ- სთან შედარებით
აქტივების ჯამური ღირებულება	13545779	13,570,505	1%	18,208,924	34%	34%
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	210	210	0	210	0	0
შემოსავალი რეალიზაციიდან	20221387	19101649	-27%	22497223	17%	-14%
მიმდინარე აქტივები	8389328	7,935,426	6%	11,975,008	44%	42%
გრძელვადიანი აქტივები	5156450	5,635,079	9%	6,233,916	10%	20%
მიმდინარე ვალდებულებები	281867	4,829,766	-5%	4,475,098	-8%	-13%
გრძელვადიანი ვალდებულებები	3760803	3,556,073	-6%	7,269,477	200%	193%
სულ კაპიტალი	4695445	5,184,666	10%	6,464,349	24%	37%

როგორც ცხრილიდან ჩანს, კომპანიის შემოსავლები და შესაბამისად, მოგებაც იზრდება. გაზრდილია აქტივების ჯამური ღირებულება, შესაბამისად გაიზარდა კაპიტალიც. წინა პერიოდთან შედარებით, შემცირებულია მიმდინარე ვალდებულებები, რაც კომპანიას სტაბილური საქმიანობის შესაძლებლობას უქმნის.

ანალიზური მაჩვენებლები

მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი (Current ratio). იგი ასახავს კომპანიის უნარს, მიმდინარე აქტივებით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2018 წლის ბოლოსათვის 0.44. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 2.0);

სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი (Quick ratio). ეს მაჩვენებელი პასუხობს კითხვას, გაყიდვების შეწყვეტის შემთხვევაში, კომპანიას შეუძლია თუ არა თავისი მიმდინარე ვალდებულებები დაფაროს იოლად კონვერტირებადი აქტივებით. ეს მაჩვენებელი შეადგენს 2018 წლის ბოლოსათვის 1,24.(კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 1.0);

აბსოლუტური ლიკვიდობის კოეფიციენტი (Absolute liquidity ratio) ეს მაჩვენებელი ასახავს კომპანიის უნარს დაფაროს მომწოდებელთა მიმართ ვალდებულებები. 2018 წლის ბოლოს იგი შეადგენდა 0,19 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.2);

საკუთარი საბრუნავი სახსრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი (Providing funds for working capital ratio) იგი 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.53. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.5);

უკუგება აქტივებზე (Return on assets. ROA) მიუთითებს ფინანსურ უკუგებაზე გამოყენებული აქტივებიდან. იგი 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.12 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

კაპიტალის უკუგების კოეფიციენტი (Return on equity ROE) იგი ასახავს რამდენად ეფექტიანად გამოიყენება კომპანიაში დაბანდებული სახსრები. იგი 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0.68 (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.);

უკუგება გაყიდვებზე -რენტაბელობა ((Return on sales ROS) იგი ასახავს გაყიდვების მომგებიანობას, იგი 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 0,04. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 0.15.)

დებიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts receivable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენადაა დალაგებული კომპანიის ურთიერთობა კონტრაგენტებთან. იგი 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 18,6. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

კრედიტორული დავალიანების ბრუნვალობის კოეფიციენტი (Accounts payable turnover ratio) იგი უჩვენებს რამდენჯერ იფარება კრედიტორული დავალიანება წლის განმავლობაში. იგი 2018 წლის ბოლოსათვის შეადგენდა 4,5. (კარგი მაჩვენებელია თუ იგი აღემატება 4.0);

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკებთან დაკავშირებით კომპანიის მენეჯმენტს რაიმე მნიშვნელოვანი მიზეზი ან ფაქტორი მიმდინარე პერიოდისათვის არ გააჩნია.

იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფირმები გააფართოებენ თავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორები არ ფიქსირდება და მომავალშიც არაა მოსალოდნელი რამე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ფირმის საქმიანობაზე.

ანგარიშების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

შპს „გაა ჰოლდინგის“
დირექტორი

აღიხანაშვილი



იგი შეიძლება წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება კონკურენციის გაზრდა და სხვა ფორმები გააფართოებენ თავიანთი მოქმედების არეალს, ან მოხდება სერიოზული ცვლილება საგადასახადო კანონმდებლობის ნაწილში, რაც გამოიწვევს გადასახადების გაზრდას.

მენეჯმენტის აზრით ასეთი რისკები საშუალოზე დაბალია და სერიოზულად არ განიხილება.

რაც შეეხება გაურკვევლობებს, დღეისათვის ანალოგიური ფაქტორები არ ფიქსირდება და მომავალშიც არაა მოსალოდნელი რამე ისეთი ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ ფირმის საქმიანობაზე.

ანგარიშგების მომზადებასა და წარდგენაზე პასუხისმგებელი პირები

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

შპს „გაა ჰოლდინგის“
დირექტორი

გ. ალიხანაშვილი